# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№1488 2014 წლის 26 აგვისტო ქ. თბილისი

**„საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 10 ივლისის №76 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 10 ივლისის №76 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეიქმნას საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისია (შემდგომში - კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს პრემიერ-მინისტრი, კომისიის თავმჯდომარე;

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი;

საქართველოს იუსტიციის მინისტრი;

საქართველოს თავდაცვის მინისტრი;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი;

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი;

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი;

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი;

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი;

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი;

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი;

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი;

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი;

საქართველოს ფინანსთა მინისტრი;

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი;

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი;

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი;

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე;

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ევროინტეგრაციის საკითხთა კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის მდივანი.“.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი